

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
ოქმი №1

საბჭოს თავმჯდომარე: დავით ჯიქია
საბჭოს მდივანი: სალომე ლომიძე

ქ. რუსთავი

18 მარტი 2016 წელი

სხდომა გაიხსნა: 15:00 საათზე

2016 წლის 18 მარტს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა, რომელზეც გამოცხადდნენ საბჭოს შემდეგი წევრები: ზაალ სანაია; ნუკრი კობრიძე; გოჩა ლორია; თინათინ სიყმაშვილი; ნათელა მუხლიშვილი; მალხაზ მარდიშვილი; სოფიო ჩხიტუნძიძე; თამარი ბუაძე. შეხვედრას არ ესწრებოდნენ: იური ბედინეიშვილი; გიორგი ქოჩიაშვილი; იუზა მაჭავარიანი; ლადო ხმალაძე; ნინო კვიციანიშვილი; ლალი ჯაბუა; ვალერი კილასონია.

შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ და განმარტა: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86¹ მუხლით განისაზღვრა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი, კერძოდ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო საბჭოს განსახილველად წარუდგენს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს; მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს; მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს; აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს; ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ პროექტებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 21 სექტემბრის N1552 ბრძანებით შეიქმნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და დამტკიცდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება. საბჭოს შექმნის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

დღევანდელი შეხვედრა არის გაცნობითი ხასიათის, როგორც აღვნიშნეთ საბჭოს შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ცალკეული სფეროების შესაბამისად განეკუთვნება თქვენს კომპეტენციას, წარმოდგენილი ინიციატივები და მოსაზრებები განხილული იქნება საბჭოს მიერ და ერთობლივად გადავჭრით ქალაქში არსებულ პრობლემებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს პრეზენტაციის სახით წარუდგინა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2015 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია, ასევე 2016 წელს დაგეგმილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კულტურული პროექტები, მათ შორის კოსტავას გამზირის რეაბილიტაციის გეგმა.

აზრი გამოთქვას საბჭოს შემდეგმა წევრებმა:

მალხაზ მარღიშვილი: როგორც მოგეხენებათ, ქალაქს არ აქვს სამხატვრო გალერეა, ახლო მომავალში მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება თუ არა შესაბამისი ფართის გამოყოფა?

საბჭოს თავმჯდომარე: აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მხრიდან მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სათანადო ფართის გამოყოფისა და საგამოფენო დარბაზის განთავსების უზრუნველყოფის მიზნით.

ნათელა მუხულიშვილი: ტროტუარები და გზის გამყოფი ზოლები წინა წლებთან შედარებით კეთილმოწყობილია, თუმცა სასურველია განხორციელდეს მათი ინტენსიური გამწვანება.

დავით ჯიქია: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ აქტიურად ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს, მიმდინარეობს მცენარეების დარგვა სკვერებსა და კულტურისა და დასვენების პარკში. ვიმედოვნებთ, რომ წლის ბოლომდე დასრულდება აღნიშნული ტერიტორიების გამწვანება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რა ინტენსიობით შეიძლება დაინიშნოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა?

თავმჯდომარემ განმარტა: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საბჭოს დებულება ითვალისწინებს საბჭოს შეკრებას 3 თვეში ერთხელ მაინც, თუმცა შესაძლებელია რიგგარეშე შეხვედრის დანიშვნა მოთხოვნის შესაბამისად.

დავით ჯიქია: მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისა და თანამშრომლობისათვის, თითოეული თქვენი მოსაზრება და ინიციატივა ჩვენთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. მომდევნო სხდომის შესახებ ინფორმაცია გეცნობებათ დადგენილი ვადების შესაბამისად.

სხდომა დასრულდა: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე :



დავით ჯიქია

საბჭოს მდივანი:



სალომე ლომიძე